საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დერელი

დერელი (d’Herelle) ფელიქს (25. IV. 1873, მონრეალი, – 22. II. 1949, პარიზი), კანადელი ბაქტერიოლოგი.

მუშაობდა გვატემალის, მექსიკის, საფრანგეთისა და ნიდერლანდის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებში. 1917 შეისწავლა და დაწვრილებით აღწერა ნ. გამალეას მიერ 1898 აღმოჩენილი მოვლენა, რ-საც ბაქტერიოფაგია უწოდა. 1923–27 ბაქტერიოლოგიურ ლაბორ. დირექტორი იყო ალექსანდრიაში (ეგვიპტე), 1928-იდან კი – იელის უნ-ტში ნიუ-ჰეივენში (აშშ).

დ. ორჯერ (1933–34, 1934–35) იყო საქართველოში. მუშაობდა თბილ. ბაქტერიოლოგიურ ინ-ტში. გ. ელიავასთან ერთად შეიმუშავა სპეციალიზებული ბაქტერიოფაგიის ინ-ტის შექმნის პროგრამა.

დ-ის წინადადებით, ბაქტერიოფაგს იყენებენ ზოგიერთი ინფექციური დაავადების სამკურნალოდ.

თხზ.:Le bactériophage et son comportement, 2 éd., P., 1926; Бактериофаг и его значение для иммунитета, М. – Л., 1926; Бактериофаг и феномен выздоровления, Тфл., 1935.